პროექტის სახელწოდება: საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სასწავლო პროგრამების დახვეწა და რეგიონული სატრენინგო პლატფორმის დაფუძნება ჰემატოლოგიის დარგში (აკრონიმი - DECERPH)

პროექტის ნომერი: 544282-TEMPUS-1-2013-1-UK-TEMPUS-JPCR

პროექტის ხანგრძლივობა: 36 თვე, 01/12/2013 - 30/11/2016

პროექტის ბიუჯეტი: 999 376,57 ევრო

კოორდინატორი: ვესტმინსტერის უნივერსიტეტი,

პროექტის პარტნიორები - ფერარას უნივერსიტეტი (ფერარა, იტალია), რომის უნივერსიტეტი ,,ტორ ვერგატა" (რომი, იტალია), მურსიის უნივერსიტეტი (მურსია, იტალია), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თელავი, საქართველო), პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (თბილისი, საქართველო), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ერევანი, სომხეთი), მხტარ ჰარაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ერევანი, სომხეთი), ჰემატოლოგიის ცენტრი (ერევანი, სომხეთი), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბაქო, აზერბაიჯანი), ნარიმან ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბაქო, აზერბაიჯანი)

პროექტის ამოცანები:

პროექტის მთავარი ამოცანაა განავითაროს, გაუმჯობესოს და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოიყვანოს ჰემატოლოგიის სწავლება საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სასწავლო პროგრამებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში და დააფუძნოს კავკასიის რეგიონული პლატფორმა ჰემატოლოგიაში. ამ მიზნით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 1: საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ჰემატოლოგიის სწავლების მოდერნიზება, რესტურტურიზაცია და საჭიროების შემთხვევაში ახალი კურსის შექმნა სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში.

ამოცანა 2: ჰემატოლოგიის სწავლებისა და შეფასების შერეული და ელექტრონული მეთოდებისათვის რესურსების განვითარება სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში.

ამოცანა 3: პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგი ევროპულ უნივერსიტეტებში ჰემატოლოგიის სწავლების თანამედროვე მეთოდებში.

ამოცანა 4: კავკასიის რეგიონული პლატფორმის დაფუძნება ჰემატოლოგიაში;

ამოცანა 5: პროექტის განხორციელებისას ხარისხის მკაცრი კონტროლის და სწორი მართვის უზრუნველყოფა;

ამოცანა 6: მიღებული შედეგების გავრცელება, მათი შემდგომი განვითარების სტრატეგიის გამოყენებით.

სამუშაო პაკეტები:

I. სამხრეთ კავკასიის და ევროპის უნივერსიტეტების საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სასწავლო კურიკულუმების შედარებითი ანალიზი ჰემატოლოგიის სწავლების კუთხით;

II. საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სასწავლო პროგრამებით ჰემატოლოგიის სწავლების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის დაგეგმვა;

III. ჰემატოლოგიის სასწავლო კურსის შინაარსის და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება ინდივიდუალურად თითოეული უნივერსიტეტის მოთხოვნების მიხედვით;

IV. სასწავლო მასალების ელექტრონული და შერეული სწავლების ფორმატში გადაყვანა;

V. სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტების პროფესორ/მასწავლებელთა ტრენინგი ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში სწავლებისას, პრაქტიკული მეცადინეობებისას და შეფასებისას შერეული და ელექტრონული მეთოდების გამოყენებაში;

VI. თსუ-ში სამხრეთ კავკასიის რეგიონული პლატფორმის დაფუძნება ჰემატოლოგიაში;

VII. შემუშავებული კურიკულუმებით სწავლების დანერგვა ყველა მონაწილე სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტში;

VIII. მიღებული შედეგების გავრცელება და შენარჩუნება ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე;

IX. ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლი;

X. პროექტის მართვა და კოორდინირება.

პროექტის ვებ-გვერდები: https://sites.google.com/a/my.westminster.ac.uk/decerph/home/
http://decerph.tsu.ge/